ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1674329

ნომერი: AR1275080

თარიღი : 23.12.2014

გაცემის თარიღი : 08.01.2015

გაცნობის თარიღი : 08.01.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ მაისურაძე პ/ნ 01019033521
- თბილისი ღრმაღელის I ჩიხი N 4

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1275080 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობზე (საკადასტრო კოდი 01.10.16.004.020) სამსახურის მიერ შეთანხმებულ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ასლებს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობზე,

თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.16.004.020) სამსახურის მიერ 2012 წლის 22 ნოემბრის №444478 ბრძანებით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, რომლის მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 24 აპრილის ჩათვლით.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ასევე გაცნობებთ, რომ №444478 ბრძანების მე–4 პუნქტის მიხედვით, დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:

4.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

4.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;

4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი იმავე დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;

4.4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან.

4.5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ა)ები საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ აღნიშნული დოკუმენტაცია.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR190408 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (#№444478 22.11.2012წ. ბრძანება) გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge